ხელშეკრულება N142სშ
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(გამარტივებული შესყიდვა)
(CPV- 31400000)

სსიპ საქართველოს ეროვნული არქივი (მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა ფშაველას #1 ტელეფონი: 38-14-25, საბანკო რეკვიზიტები: ბანკის კოდი TRESGE22, სახელმწიფო ხაზინა, ანგ.# GE24NB0330100200165022, სკ-211358957), შემდგომში წოდებული „**შემსყიდველად**", წარმოდგენილი გენერალური დირექტორის **თეონა იაშვილის** სახით და **შპს "ფარადა "** (მისამართი: ქ. თელავი, აღმაშენებლის №52; ტელ:555-66-87-55; საბანკო რეკვიზიტები: სს „კრედო ბანკი" ანგ .N: GE84CD0360000016582848; ს/კ 431177362), წარმოდგენილი მისი დირექტორის **კობა ფარადაშვილის** სახით, შემდგომში წოდებული **„მიმწოდებლად"**, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები", ვმოქმედებთ, რა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანების მე-2 მუხლის ,,ა" პუნქტის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში - „ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
1.3 „დღე", „კვირა", „თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.4 „შემსყიდველი" - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.5 „მიმწოდებელი" - პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.
1.6 „საქონელი" - წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2.ხელშეკრულების საგანი
2(ორი) ცალი აკუმულატორის სახელმწიფო შესყიდვა
(CPV- 31400000)

3.ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს- **340.00 (სამას ორმოცი) ლარს, კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით. ერთეულის ღირებულებაა - 170.00(ას სამოცდაათი) ლარი, კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის ჩათვლით.**
3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც საქონლის ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.
3.3 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
3.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში ფასის ცვლილება დასაშვებია არაუმეტეს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ით.

4.მხარეთა ვალდებულებები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია:
ა)უზრუნველყოს კახეთის რეგიონალური არქივის შენობის სიგნალიზაციის სისტემის აკუმულატორის, 2(ორი) ცალი; მოდელი -NORD STAR-60AH; მწარმოებელი ქვეყანა- თურქეთი მიწოდება, ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღიდან 2(ორი) სამუშაო დღის ვადაში. მიწოდების ადგილია: კახეთის რეგიონული არქივის შენობა, მისამართი: ქ.თელავი, რუსთაველის ქ. №83.
ბ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება;
გ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.
4.2 შემსყიდველი ვალდებულია:
ა) უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ინსპექტირება და დადებითი შეფასების შემთხვევაში მისი მიღება;
ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5.საქონლის ხარისხი

5.1 მიწოდებული საქონლის ხარისხი უნდა იყოს მაღალი და აკმაყოფილებდეს წინამდებარე ხელშკრულების 4.1 პუნქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ მაჩვენებლებს.
5.2 მიწოდებულ საქონელზე გარანტია ვრცელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 1(ერთი) წელი. საგარანტიო მომსახურების გაწევა განხორციელდება საგარანტიო ტალონის შესაბამისად.

6.ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად.
6.2 ინსპექტირებას განახორციელებს, **სსიპ საქართველოს ეროვნული არქივის კახეთის რეგიონალური არქივის დირექტორი, გელა გრემელაშვილი.**
6.3 შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება წუნდებული მოწოდებული საქონელი, მიმწოდებელი ვალდებულია წერილობითი

შეტყობინებიდან 5 (ხუთი) დღეში გამოასწოროს წუნი ან თუ წუნის გამოსწორება შეუძლებელია და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს საქონლის ღირებულება დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული საქონლის ღირებულება.

7.საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

საქონლის მიღება იწარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელისმოწერით, ფაქტობრივად მიწოდებული საქონლის შესაბამისად, წინამდებარე ხელშეკრულების 6.2 პუნქტით განსაზღვრული ინსპექტირების განმახორციელებელი პირის დადებითი ინსპექტირების დასკვნის საფუძველზე.

8. ანგარიშსწორება

8.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

გ) დაფინანსების წყარო- 2019 წლის საკუთარი შემოსავლებიდან მიღებული ასიგნებები.

8.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს ფაქტობრივად მიწოდებული საქონლის ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და შემსყიდველის მიერ, საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის დადასტურებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

8.3 შემსყიდველი უფლებამოსილია, ხოლო მიმწოდებელი თანახმაა ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოს თანხა (ასეთის არსებობის შემთხვევაში), გამოქვითოს ყოველი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, მიმწოდებელზე გადასარიცხი თანხიდან და გადარიცხოს მიმწოდებლის სახელით სახელმწიფო ხაზინის შესაბამის სახაზინო კოდზე.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-11 მუხლის შესაბამისად.

10.ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 და 6.3 ქვეპუნქტებით გათვალისწინებული პირობებისა და ვადების დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო შესაბამისად ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების **0,02%**-ის ოდენობით.

10.2 წინამდებარე ხელშეკრულების 8.2 პუნქტით გათვალისწინებული პირობებისა და ვადების დარღვევის შემთხვევაში, შემსყიდველს ეკისრება პირგასამტეხლო შესაბამისად ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების **0,02%**-ის ოდენობით.

10.3 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1 (ერთ) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

10.4 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11.ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12.დავების გადაწყვეტა

12.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკებების გზით.

12.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია მიმართოს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

13.ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1 შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

13.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

14.ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, გარდა მე-5, მე-6 მუხლებისა და 10.1 პუნქტისა.

14.2 წინამდებარე ხელშეკრულების მე-5, მე-6 მუხლები და 10.1 პუნქტი ასევე მოქმედებენ ამ ხელშეკრულების 5.2 პუნქტით განსაზღვრული ვადით.

15.ფორს-მაჟორი

15.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.
15.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საკუთარი შემოსავლებიდან მიღებული ასიგნებების მკვეთრი შემცირებით.
15.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

16.სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე და ხელმოწერილია „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების მოთხოვნის შესაბამისად.

17.მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
სსიპ საქართველოს ეროვნული არქივი **მისამართი**: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას №1 **ტელეფონი**: 238-14-25 **საბანკო რეკვიზიტები:** **ბანკის კოდი** TRESGE22;**სახელმწიფო ხაზინა** **ანგ.**# GE24NB0330100200165022 **სკ** - 211358957	**შპს "ფარადა"** **მისამართი:** საქართველო, ქ. თელავი, აღმაშენებლის №52; **ტელ:** 555-66-87-55 **რეკვიზიტები**: სს „კრედო ბანკი“ ბანკის კოდი:JSCRGE22 **ანგ. N:** GE84CD0360000016582848 **ს/კ** - 431177362